MES 2 23 0001103539

07/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა:
გიორგი გარსიძე-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ხათუნა უზნაძე- დირექტორის მოადგილე
სსიპ- სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა:
ქეთევან ჩოქური-დირექტორი
სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა:
გიორგი ბერძნაშვილი-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ ქუთაისი N14 საჯარო სკოლა:
ნონა ჩუბინიძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდის საჯარო სკოლა:
ნინო გარსევანიშვილი-დირეტორის მოვალეობის შემსრულებელი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა:

ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაგდა მიქაბერიძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა კასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ღოღობერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპირიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

სსიპ- ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლა:

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)
ბ) თინათინ გიორგაძე -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) სოფიო მგალობლიშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო როსტომაშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა ობოლაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
ვ) ნატო კვეტენაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) შაქრო ჟღენტი- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ნეფარიძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო ხაჭაპურიძე -(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
კ) ნანა გიორგობიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა კაკაშვილი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლა:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ჯაში - შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა შამუგია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახაბერ ჩაკვეტაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის №154 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ- ქალაქ თბილისის №154 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე. აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესდა კონფლიქტი. საბჭოს წევრის განცხადებით, ის სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 08 და 09 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება; მე-4 მ/რ-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000 მოსწავლე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე, წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. სკოლას ჰქონდა შიდა სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ბიბილიოთეკა, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით. ასევე, დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით. სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები. რაც შეეხებოდა სკოლის ადაპტირებულ გარემოს, სკოლაში იყო ადაპტირებული შესასვლელი და ადაპტირებული სველი წერტილები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოთხივე სტანდარტის მიხედვით იყო შესწავლილი სკოლის დოკუმენტაცია. სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლას დეტალურად ჰქონდა გაწერილი ვადები, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ცვლილებების განხორციელებას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განცხადა, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, არ ჰქონდა წარმოდგენილი, სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუმველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების ვადად განისაზღვრული იყო 08.06.2023 – 04.09.2023. პერიოდი. ასევე, სკოლის მიერ წარმოადგენილი იყო დირექტორის ბრძანება N2-89 სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. ჯგუფი თავის საქმიანობას განახორციელებდა სკოლის მიერ შემუშავებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ ძირითადი პრინციპებით, რომელიც დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N8.04.06.2023). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის თაანახმად

სკოლას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08.06.2023 – 04.09.2023), უნდა უზრუნველყო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნებოდა სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამებამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე, არ ჰქონდა შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები, რომლის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ვადად განისაზღვრული იყო 04.09.2023წ. – 15.09.2023წ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის თანახმად სკოლას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.09.2023 წ.– 15.09.2023წ.), უნდა შეემუშვებინა სამოქმედო გეგმა რომელიც დაეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამებამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტის განმარტებით, ხარვეზი დაფიქსირდა 3.3.1.2 ინდიკატორთნ მიმართებით. კერძოდ, სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის წარმომედგენლებმა, საუბრისას აღნიშნეს რომ სკოლის მისია და ხედვა იყო რედაქტირების პროცესში, შესაბამისად, ვერ დადგინდა თუ რამდენად უზრუნველყოფდა პროცესები სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ექსპერტის განცხადებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანტარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პერიოდი იყო განსაზღვრული (02.09.2023წ.) ასევე, წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაირკვა, რომ სამუშაო ჯგუფმა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების ახალი ვერსია წარუდგინა დირექტორს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმით განესაზღვრა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნებოდა. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა წარმოადგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლას არ ჰქონდა საგანგებო რეაგირების შტაბი, სკოლას არ ჰყავდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი ბრძანებით განსაზრვრული პირი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. არ იყო წესრიგში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, ის სრულად ვერ უზრუნველყოფდა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. ექსპერტის, განცახდებით, სკოლა, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად მითითებული იყო 2024 წლის 15 ივნისი. ასევე, არგუნებტრიებული პოზიციის წარდგებისას წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, საიდანაც გაირკვა, რომ სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 17 ივლისის N2-129 ბრძანებით, შეიქმნილი იყო საგანგებო შტაბი და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დირექტორის მ.შ. 2023 წლის 21 ივლისის N 2106571 წერილის თანახმად გაგზავნილი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გეგმის შესათანხმებლად. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქავეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26

ივლისის MIA 5 23 0215619 წერლით დასტურდებოდა, რომ აღნიშნული მართვის გეგმა შეესაბამებოდა,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავებას. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-139.17.07.2023წ) განისაზღვრა სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის თანახმად სკოლას უნდა მოახდინა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის 15 ივნისი). ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოდგინა მეთოდოლოგია, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესახებ. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც განისაზღვრა მეთოდოლოგიის შემუშავების პერიოდი(2023 წლის 20 ივლისი -2024 წლის 4 ივნისი) და მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის თანახმად, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო, აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის 04 ივნისი). წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოხოვნებთან.

ექსპერტი, ქეთევან ბოტკოველის განაცხადებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.5.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ იყო სველი წერტილი, გამწოვი და ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდა. სპორტული დარბაზი იყო სარეაბილიტაციო, არ ჰქონდა გასახდელები და სველი წერტილები. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მოქმედების დაწყების მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლას მიწერილობა ჰქონდა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან N701464. 16.06.2023წ., ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში - (რეგისტრაციის N1004770023), რომელიც მოითხოვდა სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრას. დოკუმენტის წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვრული იყო 2024 წლის 15 ივნისი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ნაწილში გამოსასწორებელ ხარვეზებს, ექსპერტის განმარტებით სკოლას მიწერილობა ჰქონდა (წერილის N MES8220000782958. 11.07.22) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, სადაც სკოლა მიმართავდა თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას რიგი საკითხების მოგვარებაში. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველტოფის გეგმით, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების, შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრული იყო 2024 წლის 15 ივნისი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის თანახმად, სკოლას უნდა უზრუნველყო, დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში უნდა უზრუნველყო, სველი წერტილის, გამწოვი კარადის და ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდის დამონტაჟება. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის 15 ივნისი).

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლის ინფრასტრუქტურა არ იყო სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. ექსპერტის, განმარტებით, სკოლაში არ იყო ლიფტი რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემდა. ექსპერტის, განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 15 ივნისადე სკოლა უზრუნველყოფდა ლიფტის დამონტაჟებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, დაწესებულებას უნდა უზრუმველყო ლიფტის დამონტაჟება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის 15 ივნისი). აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამისი სტანდრტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა და ცალკე გამოჰყო ის ინდიკატორები, რომელიც შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი. ვიზიტის დროს, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას, ვიზიტის პერიოდში, არ ჰქონდა შემუშავებული თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი/მექანიზმი. ასევე, ხარვზეი იყო დაფიქისრებული 3.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ, ვიზიტის პერიოდში, ვერ წარმოადგინა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის წადგენისას, სკოლამ წარმოადგინა ცვლილებები შინაგანაწესში, სადაც შემუშავებული იყო თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისა და პერსონალის ინიციატივების წახალისების ეფექტური მექანიზმები (სამეურვეო საბჭოს ოქმი N7. 26.07.2023წ). ექსპერტთა ჯგუფის მიერ, წარმოდგენილი ინდიკატორები შეფასდა, როგორც სრულად შეესაბამისი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.3.1.1. ინდიკატორთან მიმართებით. ექსპეტის განმარტებით, სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის მექანიზმი, თუმცა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ დოკუმენტში არ ჩანდა, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელებულიყო. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული, 3.3.2.1 ინდიკატორთან მიმართებიათ, კერძოდ, სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა პროცესების მართვის მექანიზმი, მართვის პროცესებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების და უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმი. სკოლას არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით და წარმოდგენილი დოკუმენტები: მშობელთან/კანონიერ წარომადგენელთან ურთიერთობის დებულება; საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი; სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 24 ივლისის N2-135 ბრძანება სკოლაში სოციალური ქსელის (სკოლის FACEBOOK გვერდი) მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება, მართვის პროცესებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების და უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმის სკოლაში არსებობდა, რაც გულისხმობდა კითხვარის საფუძვეზე მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისა და არსებული სიტუაციის გაუმჯობეს. წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული, 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებიათ, კერძოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველლყოფი გეგმა, სადც ვებ - გვერდის შექმნის საბოლოო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 მარტი. აქვე ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწებული იყო და სკოლას ამ ეტაპზე უკვე ჰქონდა ვებგვერდის შესაბამისი გვერდი, რომელიც განთავსებული იყო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/, რომელიც შემოწმების პერიოდში, ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე შევსებული.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ მეოთხე სტანდარტის, რამდენიმე ინდიკატორის მიმართ ხარვეზი იყო დაფიქსირებული, დასკვნის პროექტში. სკოლამ სრულად გაიზიარა, ექსპერტთა მითითებები, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროში განახორციელა ისეთი აქტივობები, რომლითაც ინდიკატორები მეტწილი შესაბამისობიდან გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტნა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 4.1.1.1. კომპონენტთან მიმართებით, სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული მოსწავლეთა უფლებები. სკოლას ასევე არ ჰქონდა შემუშავებული - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ცვლილებები შეიტანა შინაგანაწესში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შეესაბამისი

რაც შეეხება 4.1.2.1 ინდიკატროს, ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წამოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განისაზღვული ჩასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადა (10.07.2023წ.-20.07.2023წ). გეგმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესრულების მტკიცებულება - სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 ივლისის ივლისის N2-131 ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. წესი შესაბამისობაში იყო არსებულ კანონმდებლობასთან. აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

რაც შეეხება, მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმის ნაწილის, სამივე საფეხური, დაწყებითი, საბაზო და საშუალო, შეფასებული იყო სრულად შესაბამისობით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით, სკოლას მიეცა არა ერთი რჩევა, რასაც, სკოლა ამ რჩევებს მიზნობრივად გამოიყენებდა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები ექსპერტებთან, ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა, სკოლის ვებ - გვერდთან დაკავირებით, ამჟამად მიმდინარეობდა, თუ არა ვებ გვერდის ფუნქციონირება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი გარსიძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ვებგვერდის შესაბამისი გვერდი, რომელიც განთავსებული იყო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/, მაგრამ ის საჭირო დოკუმენტაცია, რაც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო ატვირთული არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, შემუშავების რა ეტამზე იყო სკოლა, რაზეც სკოლის წარმოამდგენელმა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გარსიძემ, განაცხადა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული იყო სტრატეგიული განვითარების გეგმა და დამტკიცდებოდა, სტანდართან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ დროს 04 სექტემბერს.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, იყო, თუ არა სასკოლო საზოგადოება ჩართული ამ გეგმის შემუაშავებაში, რადგან სკოლის მასწავლებლები აიმყოფებოდნენ კუთნილ შვებულებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმოამდგენელმა, დირექტორის მოადგილემ, ხათუნა უზნაძემ, განაცხადა, რომ სკოლა მუშაობს ამ საკითხთან დაკავშირებით ონლაინ რეჟიმში.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007884) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1.)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4, და 3.5 კომპონენტები.

2. სსიპ- სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე. აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესდა კონფლიქტი. საბჭოს წევრის განცხადებით, ის სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, მანანა ალიბეგაშვილმა და ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 08 და 09 ივნისს.

დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის N59-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1044 მოსწავლე.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა საუბარი დაიწყო პირველი სტანდარტით და აღნიშნა, რომ 1.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაში იყო, ხოლო 1.2 კი მეტწილ შესაბამისობაში. მან დასძინა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლის მისია იყო საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული, ხედვა კი საჭიროებდა გადახედვას, რაზეც უკვე მიმდინარეობდა მუშაობა, ამიტომ მხოლოდ მას შემდეგ, რას სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა დოკუმენტაცია ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით. რაც შეეხებოდა 1.2.2.1 ინდიკატორსს, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა იმ დროისათვის დამტკიცებული ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და მასთან შესაბამისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა ვიზიტის განხორციელების დროს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი უკვე მუშაობდა ამ საკითხზე, რის შედეგადაც დაწესებულებამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცდებოდა მიმდინარე წლის 8 სექტემბერს პირველივე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ამიტომ, ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში.
რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ ყველა ინდიკატორი სრულ შესაბამისობაში იყო, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ინდიკატორი 3.1.2.3 -ის შემთხვევაში დაწესებულებაში 2020 წლის შემდეგ მიღებულ არცერთ თანამშრომელს არ ჰქონდა ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომელზეც მოხდა სწორი რეაგირება და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოადგინეს ყველა ცნობა. მოცემული ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით.
რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ორივე კომპონენტი იყო სრულად შესაბამისი. ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი სასწავლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა და სასკოლო გარემო და მოსწავლეთა აქტიურობა იყო თვალშისაცემი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა დაწესებულების ხედვა და მისიით. მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა პროცესი, რომელიც გულისხმობდა ხედვისა და მისიის გადახედვას. დაწესებულების დირექტორმა, ქეთევან ჩოქურმა აღნიშნა, რომ მათ 2020 წელს შეიმუშავეს ექვს წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რის შესახებაც მიიღეს ექსპერტებისგან გარკვეული რეკომენდაციები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მათ მეტწილად მზად ჰქონდათ მასალა ხედვისა და მისიის ჩამოყალიბებისთვის, რაშიც მოიაზრებოდა ერთობლივი სამუშაოები, საზოგადოების ჩართულობა და გამოკითხვები.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა, რომ მათ თვითშეფასების ფორმის მიხედვით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას სკოლა გეგმავდა 2023-2024 სასწავლო წლისთვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებული. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ აღნიშნული გეგმა და წარდგენილიც იყო ექსპერტებთან, თუმცა მათ მიეცათ რეკომენდაციები 112-თან უშუალო თანამშრომლობის შესახებ და ისინი გეგმავდნენ, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებისთანავე მიემართათ და ადგილზე განხორციელებულიყო სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების მომზადების მიზნით. საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა სკოლის დირექტოს კიდევ ერთხელ მიმართა დაზუსტების მიზნით და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმა, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ შეთანხმებას აპირებდნენ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისშივე.

ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მაგრამ არ იყო შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებული. ექსპერტმა, ასევე, დაამატა, რომ სკოლას გავლილი ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების გარკვეული საკითხები და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ლია ჯალაღონიას და სთხოვა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა 112-ს შემოწმებული სკოლა, რაზეც მან ექსპერტისგან დადებითი პასუხი მიიღო და დაამატა, რომ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც წაყენებული ჰქონდა სკოლას, მაქსიმალურად იყო შესრულებული, დარჩენილი იყო მხოლოდ შიდა წყალგაყვანილობის დარეგულირება სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისად, რაზეც სკოლამ უკვე მიმართა ინფრასტუქტურის სააგენტოს და აღნიშნულ თემაზე დაწყებული იყო სამუშაოები.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჩოქურმა დაამატა, რომ მათ ჰქონდათ გაკეთებული პროექტი, ხელმოწერილი ხელშეკრულება და ინფრასტუქრუქტურის სააგენტოდან გამოყოფილი თანხა, რომლითაც შესრულდება ზემოაღნიშნული სამუშაოები.
საბჭოს თავჯმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უნდა ჰქონოდა შესაბამის უწყებასთან და იმ შემთხვევაში, თუ კი აღნიშნული არ ჰქონდა სკოლას, მიეცემოდა რეკომენცაცია, რომ ცენტრში წარმოედგინა შეთანხმებული დოკომენტი.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორს, ქეთევან ჩოქურს ჰქონდა მუდმივი კონტაქტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, განხორციელდა როგორც ადგილზე ვიზიტი, ასევე არსებობდა მიწერილობა სკოლის დირექტორის მიერ, რის შედეგადაც ნაწილი საკითხებისა იყო დაკმაყოფილებული, ხოლო ნაწილი კვლავ მუშაობის პროცესში იყო.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა დაუდასტურა, რომ სკოლას ამ ეტაპზე ნამდვილად ჰქონდა ყველა საჭირო ღონისძიება ჩატარებული, თუმცა საინტერესო იქნებოდა კონკრეტულად იმ დროის ცოდნა, როდის ელოდებოდა სკოლა საბოლოო პასუხს საგანგებო სიტუაციების მართის სამსახურისგან, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ მისი ვარაუდით, ახალ წლამდე იქნებოდა დასკვნა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დაწესებულების დირექტორს მიმართა კითხვით მეორე სტანდარტთან დაკავშირებით და სთხოვა აეხსნა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ეს სტანდარტი სრული შესაბამისობით შეაფასეს ექსპერტებმა სამივე ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის პროგრამასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჩოქურმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ სკოლა 2018 წლიდან იყო ახალი სკოლის მოდელის რეფორმის ფარგლებში ჩართული, რის ფარგლებშიც მაქსიმალურად რაციონალურად იყენებდნენ ყველა შემოთავაზებას. მეორე ფაქტორად სკოლის დირექტორმა დაასახელა პანდემია, რადგან მიიჩნევდა, რომ ან პროცესებმა სკოლას და მასში გაერთიანებულ ადამიანებს ასწავლა სირთულეებთან გამკლავება. სკოლის ხელმძღვანელი, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმ პარტნიორობას სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და კონფერენციებს, რომელიც სკოლას გააჩნდა და აქტიურად იყო ჩართული. ქეთევან ჩოხელმა, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ერთიანი და ძლიერი გუნდი, რომელმაც სკოლისთვის შეიმუშავეს კურიკულუმი. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ექსპერტებს მისცა საშუალება სტანდარტი შეეფასებინათ სრული შესაბამისობით.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა ვებ-გვერდის არარსებობით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ჰქონდათ თუ არა რაიმე სხვა ალტერნატივა, სადაც ექნებოდათ ინფორმაცია განთავსებული. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ მათ მშობლებისა და მასწავლებლების დახმარებით ჰქონდათ შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაციის სახით განთავსებული იყო სკოლის ხედვა, მისია, და ა.შ
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბულიამ კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაესახელებინათ ის მიღწევები, რაც სკოლას ჰქონდა საგნობრივი მიმართულებით.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ დაასახელა კურიკულუმები, შეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალებები, მატრიცები, რომელიც სკოლას ჰქონდა შესრულებული და განხორციელებული. მან აღნიშნა, რომ სრულყოფილი ნამდვილად არ იყო მოცემული საკითხი და საჭიროებდა გაუმჯობესებას. განსაკუთრებით გასავითარებელი იყო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, მაგრამ რადგან პირველად ავტორიზაციას გადიოდა სკოლა, მზად იყო და ჰქონდა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი.
სკოლის დირექტორმა, აქვე, დაამატა, რომ მათემატიკის გაკვეთილი სკოლაში კვირაში ერთი დღე იყო ონლაინ ფორმატში და ამ დღეს მასწავლებლები იყენებდნენ ერთ-ერთ ინსტრუმენტს „გეოგებრას“ და ასევე, ჩართულები იყვნენ პროექტ main-craft-ში.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ საგნობრივ ექსპერტებს მიმართა კითხვით და სთხოვა მათ დაესახელებინათ ის შემთხვევები, რამაც დაარწმუნა ისინი, რომ სკოლას ჰქონდა მოსწავლეთა მხარდაჭერის გამოცდილება.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კომლექსური დავალებების პირობები შერჩეული მისი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებით და სწორად შესრულების შემდეგ მასწავლებლებს ექნებოდათ საშულება, რომ მოეძებნათ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესის ნიშა. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების გეგმა.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მზევინარ დარბაისელმა აღნიშნულ საკითხს დაამატა, ის, რომ ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის და გეოგრაფიის პედაგოგებს ჰქონდათ ინტეგრირებული სწავლების გამოცდილება. ისინი ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტს, მათ შორის იყო ერთ-ერთი ბიო გაზის წარმოება. ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლაში პირობისეული ცოდნის მნიშვნელობა კარგად იყო გააზრებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობისქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1044-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლას (ს/კ: 204859705) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1044 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოედგინა 3.4 კომპონენტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა და აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, საბჭოს წევრის განმარტებით, ის აღნიშნულ სკოლაში იყო შიდა მხარდამჭერი ჯგუფის წევრი.
საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და მაგდა მიქაბერიძემ.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ გორში, გოგებაშვილის ქ. N6 -ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 890 მოსწავლე.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე და წარმოადგინა ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. სკოლის დერეფნში მოწყოგილი იყო საგამოფენო დარბაზი მოსწავლეთა ნამუშევრებით, ასევე გამოყოფილი იყო სივრცე, სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა სპორტული მიღწევების დამადასტურებელი თასები, მედლები, დიპლომები. დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, სკოლას ჰქონდა წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. კეთილმოწყობილი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები. რაც შეეხებოდა სკოლის ადაპტირებულ გარემოს, სკოლაში იყო ადაპტირებული შესასვლელი, დამონტაჟებული იყო პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტმა აღნიშნა რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა იყო არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა, რომელიც მოიცავდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებებით სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. ამ მხრივ სკოლა თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. სკოლა ჩართული იყო პროექტში, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა და მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე და მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა ,,ევროკავშირი საქართველოსთვის, “ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთობლივი თანამშრომლობით. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებული წარმატება იყო ის,

რომ სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე დასქმებული იყო ტრენერად, რომელსაც ევალებოდა სხვა სკოლებში Front End დეველოპმენდის სწავლება. ასევე, სკოლაში ხორციელდება პროექტი ,,კინო სკოლაში" სადაც მოსწავლეები ეუფლებიან კინო ხელოვნებას.
სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი საქართველოს ფეხმურთის ფედერაციასთან, სკოლაში ხორციელდებოდა პროექტი ,,ფეხბურთი სკოლაში," რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.
სკოლის გამორჩეული პრაქტიკა იყო აგრეთვე, ის რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა თემატური კლუბი: ,,ეკო კლუბი," რომლის მიზანი იყო სკოლის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. სპორტული კლუბი ,,ოლიმპი", ასევე ,,მოლაშქრეთა კლუბი", სამოქალაქო კლუბი ,,მომავალი თაობა."
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოთხივე სტანდარტის მიხედვით იყო შესწავლილი სკოლის დოკუმენტაცია. სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლას დეტალურად ჰქონდა გაწერილი ვადები, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ცვლილებების განხორციელებას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა პირველ სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტის განმარტებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 1.1. კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა წარმოდგენილი მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დეკლარილებული ღირებულებები. რა თქმა უნდა, სკოლას, გარკვეული ღირებულებები ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა მათ საქმიანობაში, კურიკულუმის შემუშავებაში, კათედრებთან თანამშრომლობით სახვადასხვა პროექტში მონაწილეობასა და განხორციელებაში. სკოლამ არგუმენტრიებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ასახული იყო შესრულების ვადა და სკოლის დირექტორის ბრძანება N2-63-ით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული განახალებული მისია ხედვა და ღირებულებები, რომელიც გასაჯაროებული იყო სოციალურ ქსელში (facebook.com). ექსპერტთა ჯგუფის მიერ კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესამაბისი.
ექსპერტის, მაკა ტუკვაძის განცხადებით, ხარვეზი იყო დაფისირებული 1.2 კომპონენტან მიმართებით. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, მაგრამ ის არ მოიცავდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყიფის გეგმა, სადაც წარმოდგენილი იყო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების ვადა (10.09.2023-20.09.2023). ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორ მეტწილი შესაბამისი.
რაც შეეხება მესამე სტანდარს, ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.1, კოპონენტთან მიმართები. სკოლამ ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა, კანონმდებლობით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა" და ,,უფლების ჩამორთმევის" ცნობები. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შეაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს ((25.07.2023-20.09.2023). ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილი შესაბამისი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმა, შესაბამისად არ იყო შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლას შემუშავებული ჰქონდა

საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც ვიზიტის დროს, 2023 წლის 14 ივნისს, გაიგზავნა შეთანხმების წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო შინაგან საქმეთა სსამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 323 017 40 263; 19/06/2023). ასევე, სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლას ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებები შესრულებული ჰქონდა, კერძოდ, 2023წლის 05 მაისს გააფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს ,,დეტექტივთან", რომელმაც უზრუნველყო შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სკოლას, აღნიშნული პროექტი შესათანხმებლად, 2023 წლის 14 ივნისს გაგზავნილი ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით, თუმცა სკოლას არ ჰყავდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალი- ორი ექიმი. ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ სამჯერ გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა სასურველი კადრის მოძიება ვერ მოხერხდა. ვიზიტის დროს, გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში პირველად დახმარებას სკოლაში, მანდატურები უზრუნველყოფდნენ. სკოლას ასევე არ ჰქონდა დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, თუმცა გაგზავნილი იყო წერილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ არგუმენტრიებული პოზიციის წარდენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფი გეგმა, სადაც, წარმოდგენილი იყო აღნიშნული კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის ვადას(16.06.2023- 01.06.2024) შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილი შესაბამისი.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.6 კომპონენტთან მიმართებით. კერძოდ, სკოლას არა ჰქონდა შემუშავებული გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა, ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინტერნეტით სარგებლობის წესი" დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (N 2-240. 28/07/2023).

ექსპერტის განცხადებით, ასევე, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა, ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი" დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (N2-241; 28/07/2023). აღნიშნული წესში განსაზღვრული იყო: საზოგადოებასთ ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტრესურსი, შიდა და გარე კომუნიკაცია, მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია ვებ გვერდის დამზადების თხოვნის თაობაზე; ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება (შესრულების ვადა - 07.06.2023-15.09.2023). შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები ექსპერტებთან, ან სკოლის წარმომადგენლებთან.

ცენტრის წარმომადგენელმა, მიმართა საბჭოს, რომ სკოლამ ცენტრს მიმდინარე წლის 23 აგვისტოს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა, რომ თვითშეფასების კითხვარში მითითებული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი ჰქონდა 890 მოსწავლე. 23

აგვისტოს მონაცემებით სკოლაში ირიცხებოდა 900 მოსწავლე. მოსწავლეთა რიცხოვნების მატება გამოწვეული იყო პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთა გაზრდილი მოთხოვნით. აგრეთვე, იმ ფაქტით, რომ მშობლებს, რომლებსაც სასწავლო წლის დასასრულს გაცხადებული ჰქონდათ შვილების სხვა სასწავლებლებში გადაყვანა, ადგილზე არ ყოფნის მიზეზით, არ მიუმართავთ სკოლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ მოხდა ამ ფაქტის საჭიროება, რატომ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა სკოლაში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიოგი ბერძნიშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ მოსწავლის სტატუსი აღუდგინა, საზღვარგარეთ მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქე, სტატუსშეჩერებულ მოსწავლეებს, ასევე, ზეპირი განცხადებით სკოლის, საბაზო საფეხურიდან გასვლას აპირებს რამდენიმე მოსწავლე, რაც ჯერ არ იყო შესრულებული. აღნიშნული არგუმენტი, დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და საბჭომ გაიზიარა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მოეყვანა რაიმე, კონკრეტული მაგალითი, იმისა, სადაც გამოჩნდებოდა, თუ როგორ ზრუნავს სკოლა თანამშრომელთა პერსონალურ განვითარებაზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ბერძნიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაში. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელს, გაიარონ ყველა ის დაგეგმილი ტრენინგი, ვებინარი, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელს პროფესიულ ზრდა-განვითარებას. ასევე მოანწილეობას ღებულობენ სხვადსხვა კონკურსში, გამარჯევის შემთხვავში ხდება მათი დაჯილდოება, რაც მათ სტიმულს და მოტივაციას აძლევს.

ტექნოლოგიების ექსპერტმა ლილი კაცაძემ აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ილიას უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს კლუბი, სადაც ხელოვნების მასწავლებელი მუშაობს გრაფიკულ დიზაინზე. ეს არის ხელისშეწყობა დირექციის მხრიდან, სადაც გამოყოფილიჰქონდათ სივრცე, ჰქონდათ დრო, შეექმნათ გრაფიკული დიზაინის ნიმუშები. კლუბს საკმაოდ წარმატებული შედეგები ჰქონდათ.

უცხოური ენების ექსპერტმა, ნათია ღოღობერიძემ აღნიშნა რომ სკოლის მხრიდან მხარდაჭერასკოლია მასწავლებლის საქმიანობა, კერძოდ მხარდაჭერილი იყო თითოეული გაკვეთილი, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი იყო ვიდეო და აუდიო მასალის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 218016689) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3.)

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და თინათინ გიორგაძემ. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, გრ. ორბელიანის ქ. N3. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1500 მოსწავლე.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურუქტურის ნაწილზე, რომელიც იყო კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებელის შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. ექსპერტის განცხადებით, პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასდა სრულად შესაბამიის სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული იყპ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რომელიც შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია გამომხატველია სკოლის ინდენტობის და კონკრეტულ მიზანს განსაზღვრავს. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმით გასაზღვრული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები.
რაც შეეხებოდაა მესამე სტანდარტის, ყველა კომპონენტს: 3.1. პერსონალის მართვა, 3.2. პერსონალის განვითარება, 3.3. პროცესის მართვა,3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, 3.6. საინფორმაციო რესურსები, 3.7. ფინანსური რესურსები. შეფასდა სრულად შესაბამისი სტანდარტის

მოთხოვნებთან. სკოლის სტრუქურული ერთეულები, პერსონალის შერჩევისა და მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფდა სკოლის განვითარებას, სკოლა უზრუნველყოფდა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, პერსონალის მონაცემების დაცვას, ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფდა ხარისხიანი სწავლისა და მუშაობის პირობებს.
ასევე, სრული შესაბამისობით შეფასდა მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეთ მხარდაჭერა გამოვლენილია სკოლაში დაცული მოსწავლეთა უფლებებით და კანონიერი ინტერესებით, მოსწავლე მხარდაჭერას იღებდა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლის მხრიდან წახალისებული იყო მოსწავლეთა ინიციატივები, ხელშეწყობილი იყო მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაცია.
რაც შეეხება, მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხური, დაწყებითი, საბაზო და საშუალო, შეფასებული იყო სრულად შესაბამისობით.
ექსპერტის, ლელა ხუციშვილის განცხადებით, არც ერთ სტანდარტში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, მხოლოდ ორ ინდიკატორის მიმართებით მიეცა სკოლას რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის მიმართებით, კერძოდ, სასურველი 2023-2024 სასწავლო წლის დაგეგმვისას კურიკულუმებში სკოლამ გაითვალისწინოს კვლევითი ექსპერიმენტული სამუშაოები და მათი შესრულებისთვის საჭირო რესურსები.
ასევე, რჩევა მიეცა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლას მიეცა რჩევა შეესრულებინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობით (MIR92302203246. 31.07.2023წ) განსახორციელებელი მოთხოვნების შესრულება. ასევე, მიეცა რჩევა, რომ სკოლას აეყვანა კანოდნმებლობის შესაბანისი უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები ექსპერტებთან, ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავჯდომარემ, მიმართა სკოლის დირექტორს, მოეყვანა კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ რა სახის უკუკავშირს იღებს მოსწავლეებისგან, რომლის საფუძველზეც ხდება მოსწავლეთა მომსახურეიბუს გაუმჯობესება. სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნონა ჩუბინიძემ განაცხადა, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ საკუთარი ინიციატივების შესახებ მიემართა სკოლის წარმომადგენელისთვის, დამრიგებელისთვის, დირექტორისთვისს, სამეურვეო საბჭოსთვის. ასევე, სკოლაში დანერგილი ჰქონდათ აქტივობა ,,იდეების მოედანი.“ სადაც ხდება მოსწვლეთა იდეების გენერირება, ასევე, მოსწავლეები ირჩევენ დამატებით საგანმანათლებლო წრეებს.
საბჭოს წევრი მორის დანდურაშვილი დაინტერესდა, როგორ ახორციელებდა სკოლა, შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებას. სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებდა ბოლო სამი წლის მონაცემებს ხარჯებთან დაკავშირებით, ასევე, ითვალილსწინებს საგნობრივი კათედრების მოთხოვნებს, 20 ნოემბრამდე დგება გეგმა, მაგრამ ხდება მისი კორექტირება საჭიროების შემთხვევაში.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა და კითხვით მიმართა ექსპერტს, რატომ გახდა რჩევის მიცემა საჭირო, სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობით განსახორციელებელი მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. როდის იყო ეს მიწერილობა მისული სკოლაში, იყო თუ არა ვალიდური აღნიშნული დოკუმენტი. რაზეც, ექსპერტმა ირმა უციშვილმა, უპასუხა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ვალიდური იყო და სკოლა ასრულებდა ყველა მითითებას რაც ამ მიწერილობაში იყო გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისი N14 საჯარო სკოლას (ს/კ:212678556) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4).

5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა დანატო ჯაშმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელი შინდისში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 340 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე და წარმოადგინა ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ორსართულიან ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ შენობაში. დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, ასევე, კეთილმოწყობილი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები. რაც შეეხებოდა სკოლის ადაპტირებულ გარემოს, სკოლაში იყო ადაპტირებული შესასვლელი, დამონტაჟებული იყო პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლში იყო ნათელი, ფართო დერეფნები, რასაც ატიურად იყენებდნენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების განსახორციელებლად.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მან აღნიშნა რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა იყო არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. სკოლაში ატიურად მუშაობდა მოსწავლეთა თითმართველობა, რომელიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონიძიებაში. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა თემატური კლუბი: Stiem და ტექნოლოგიების კლუბი, ლიტერატურული კაფე, ინგლისური ენის კლუბი, ეკო კლუბი, მოსწავლეები ჩართულნი არიან CEEN-ის პროექტში.
ასევე განხორციელებული იყო სხვადასხვა პროექტი:
,,იდეა აქციე საქმედ“ გამოცხადებულ კონკურსში სკოლამ მოიპოვა განარჯვება პროექტით ,,მე და ჩემი მე.“განხორციელდა პროქტი ,,სიკეთე გადამდებია.“ ასევე, ,,ციფრული სკოლა საქართველო.“
სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯ ,,განთიადთან“ რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეუფლებოდნენ ჭრა-კერვას
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოთხივე სტანდარტის მიხედვით იყო შესწავლილი სკოლის დოკუმენტაცია. სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სკოლას დეტალურად ჰქონდა გაწერილი ვადები, რესურსები, რისკები, განხორციელების გზები.

ექსპერტის, განცხადებით, პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა მეტწილად შესაბამისი. ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, თუმცა დირექტორის ბრძანებით შექმნილი იყო სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, სკოლას ჰქონდა, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. სკოლა მუშაობდა აღნიშნული დოკუმენტის შექმნაზე და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების ვადა (07.03.2023). ინდიკატორი ფასდება მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განეხორციელებინა სტრატეგიული გეგმის შემუშავება/დამტკიცება. იქიდან გამომდინარე, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის ნაწილის, სკოლამ 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა სტანდარტთან შეაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცების ვადა (03.07.2023 წ.). ინდიკატორი ფასდება მეტწილილი შესაბამისობით. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელებინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება.
რაც შეხება 1.2.1.4 ინდიკატორს, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნებოდა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (03.07.2023წ.) აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო რეკომედაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელებინა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის, 3.1.2.3 ინდიკატორს, ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში 2020 წლის შემდეგ მიღებულ რამდენიმე თანამშრომელს არ

ჰქონდა ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ,“ სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრა, რომ 2023 წლის 15 სექტემბრამდე სკოლა მოაწესრიგებდა პერსონალის პირადი საქმეებს, კერძოდ განათავსებდა სავალდებულო ცნობებს ინდიკატორი ფასდება მეტწილი შესაბამისობით.

რაც შეეხება 3.1.2.2 ინდიკატორს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლა სასწავლი წლის დაწყებამდე. 15. 09. 2023წ. შეიმუშავებდა და დაამტკიცებდა პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთაინ დოკუმენტს. ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას 3.1.2.2ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის სავალდებულო იყო შეემუშავებინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდებოდა ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით, რათა კანდიდატთა შერჩევის პოლიტიკას და პროცედურებს უნდა უზრუნველყო პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, მაგრამ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენიასა, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 2023 წლის 15 სექტემბრამდე სკოლა შეიმუშავებდა და დაამტკიცებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტს. ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტის განცხადებით, ხარვეზი იყო დაფიქისრებული, 3.4. კომპონენტან მიმართებით. სკოლას არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც, სკოლა მოიპოვებდა დასკვნას შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლას აღნიშნული ვალდებულება გაწერილი ჰქონდა ერთწლიან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი№41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გაბსაზღვრული მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ექთანი,არ ჰყავდა ექიმი. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ 2023 წლის 23 ივნისს გამოაცხადა ექიმის შტატზე ვაკანია შესაბამის ელექტრონულ გვერდზე pedagogi.ge. შესაბამისად კომპონენტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტის განცხადებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.5. კომპონენტთან მიმართებით. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, სკოლის სპორტულ დარბაზში სკოლას უნდა გაეკეთებინა ადაპტირებული შესასვლელი, პამდუსი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ასევე, უნდა მოეწყო გასახდელი სივრცეები. სკოლას არგუმენტირებული პოზიციის წარდენიას, წარმოდენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებული იყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადები (15.09.2023წ-15.06.2023წ.). კომპონენტი შეფასდა მეტწილი შასაბამისობით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა ვადები 23.06.2023-23.07.2023.

ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, , მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები შეფასდა სრული შესაბამისობით.

სრული შესაბამისობით შეფასდა აგრეთვე, მეორე სტანდარტის, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხური, დაწყებითი, საბაზო და საშუალო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის დირექტორს, როგორ ხდებოდა სკოლაში მოსწავლეთა, მათი მშობელთა ინფორმირებულობა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითრაების შესაძლებლობების განსაზღვრის შესახებ. სკოლის დირექტორმა ნინო გარსევანიშვილმა, განაცხადა, Forms-ის პროგრამით, მიმდინარეობდა მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა, მათი ინტერესების და შესაძლებლობების გამოვლენა, შესაბამისი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება.
საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი, დაინტერესდა, პედაგოგიური საბჭოს ოქმთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებოდა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემთა დაცვა, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანათან დაკავშირებით. დანართში მოსწავლის სახელი და გვარებია დაფიქსირებული.დირექტორმა, განაცხადა რომ ამ დროს არ ხდებოდა მოსწავლეთა იდენტიფიცირება, მხოლოდ რაოდენობები სახელდებოდა, მოსწავლეთა ამა თუ იმ მიღწევის შესახებ. მხოლოდ დანართის სახით აქვს ოქმს თანდართული, სადაც ხდება მოსწავლეთ იდნეტიფიცირება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა საგნობრივ ექსპერტებ. როგორც ცნობილი იყო, სოფელი შინდისი მდებარეობდა კონფლიქტის ზონასთან ახლოს. იყო თუ არა აღნიშნული ვითარება, უახლოესი ისტორია, ასახული სასკოლო კურიკულუმში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ისაუბრა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა კახაბერ ჭაკვეტაძემ, გმისი განმარტებით, სკოლაში განხორციელებული იყო არაერთი პროექტი ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ხორციელდებოდა, სხვადასხვა პროექტი, აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, ხელვოვნების მასწავლებლის ორგანიზებით, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლას (ს/კ: 218047502) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 5).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა